ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ზ-19/0117271724-17

"19" 12 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-თელეთი, მარნეულისკენ მიმავალ გზაზე, შავნაბადას ასახვევიდან 100 მეტრში (საკ. კოდი №81.03.12.162) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო პავილიონი (სუპერმარკეტი) – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3043613 13.01.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-თელეთი, მარნეულისკენ მიმავალ გზაზე, შავნაბადას ასახვევიდან 100 მეტრში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია დანადგარების და კონდენცირების გარე ბლოკების ადგილმდებარეობები. "ა-დ" და "დ-ა" ფასადებზე "ა" ღერძზე ვიტრაჟი გაუქმებულია და მოწყობილია კაპიტალური კედლები. ამავე ფასადებზე პარაპეტზე გაუქმებულია დეკორატიული ფერადი ფილებით მოპირკეთება. "1-7" ფასადზე "1-2" მონაკვეთში ვიტრაჟზე დამატებულია სარეკლამო აბრა.

შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა. დამატებულია დაბალი კაპიტალური კედლები, გამწვანება, პანდუსები და სარინელი. ასევე მოწყობილია გარე ავტოსადგომისთვის განკუთვნილი ბეტონის ფილა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ზღაპარი"-ს, ქ. თბილისში, სექტორი-თელეთი, მარნეულისკენ მიმავალ გზაზე, შავნაბადას ასახვევიდან 100 მეტრში (საკ. კოდი №81.03.12.162) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (სავაჭრო პავილიონი (სუპერმარკეტი) – III კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/0117271724-17 28.09.2017წ. განცხადება;
№წ-19/0117271724-17 02.10.2017წ. ბრძანება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-0117354734**

თარიღი: **20.12.2017**

ადრესატი:
თამარი უდესიანი
პირადი ნომერი: 62004007193
მისამართი:

ქალბატონო თამარ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N19/0117271724-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ბრძანების 1 (ერთი) ეგზემპლარი

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური -
სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე